მუსიკის, როგორც თერაპიის, პრაქტიკული გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან

დისტანციური სწავლების პროგრამა

ეს პროგრამა გთავაზობთ თეორიულ და პრაქტიკულ სახელმძღვანელოს იმის შესახებ, თუ როგორ შეიმუშაოთ თერაპიული მუსიკის პროგრამა იმ ბავშვებისთვის, რომლებთანაც მუშაობთ.

- მიიღებთ წვდომას აკრედიტებული საერთაშორისო მუსიკათერაპევტების მიერ შემუშავებულ სასწავლო პროგრამაზე.
- შეიძენთ ბავშვის საჭიროებებზე ორიენტირებული მიდგომის სიღრმისეულ ცოდნას, რომელიც ჩვენი თერაპიული პრაქტიკის საფუძველს წარმოადგენს.
- გაამდიდრებთ თქვენს პროფესიულ ინსტრუმენტებს ახალი მუსიკალური რესურსებით.
- განივითარებთ თავდაჯერებულობას და შეძლებთ მიღებული ცოდნის წარმატებით გამოყენებას პრაქტიკაში.

შემოგვიერთდით ყოვლისმომცველ სასწავლო მოგზაურობაში, რომელიც 12 თვის განმავლობაში, სამ ეტაპად, გაგიღრმავებთ ცოდნას და განავითარებს თქვენს პროფესიულ თავდაჯერებულობას:

1.
თეორიული ნაწილი (ონლაინ სასწავლო მოდულები)

2.
ინტენსიური სასწავლო ტრენინგი – პრაქტიკაში

3.
პრაქტიკული ნაწილი – მუსიკის სესიები

“ ბევრი რამ მომცა ამ კურსმა. ბავშვების შესაძლებლობები სხვა კუთხით დავინახე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ, თუ ბავშვის ხასიათსა და უნარებს შესაბამის „გასაღებს“ მოუძებნი, ის ბევრ რამეს ისწავლის.

რა არის მუსიკა, როგორც თერაპია?

მუსიკა, როგორც თერაპია, არის მუსიკისა და ხმის გამოყენება სტრუქტურირებულ გარემოში, რათა ხელი შეუწყოს ინდივიდის ფსიქიკურ, ფიზიკურ, ემოციურ და სოციალურ კეთილდღეობას.

სტრუქტურირებული მუსიკალური აქტივობები, იმპროვიზაცია და მარტივი დასარტყამი ინსტრუმენტები შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ უნარების გასაუმჯობესებლად, რომელთა განვითარებაშიც ბავშვს შესაძლოა მხარდაჭერა დასჭირდეს.

მუსიკა, როგორც თერაპია, არ არის მუსიკის სწავლება. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებმა შეიძლება აითვისონ ძირითადი მუსიკალური უნარები, მაგალითად, კონკრეტულ ინსტრუმენტზე დაკვრა, ეს არ წარმოადგენს ამ სამუშაოს ძირითად მიზანს.

ეს პროგრამა თქვენთვისაა?

დისტანციური სასწავლო პროგრამა განკუთვნილია სპეციალისტებისთვის, რომლებიც მუშაობენ 10 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან. პროგრამაში მონაწილეობისთვის მუსიკალური ცოდნა ან გამოცდილება საჭირო არ არის.

კურსი მონაწილეებს ასწავლის, როგორ გამოიყენონ მუსიკა ბავშვების განვითარების, სოციალური და ემოციური საჭიროებების მხარდასაჭერად, მათ შორის:

- აუტიზმის სპექტრის მდგომარეობები (ASD)
- ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი (ADHD) ან ჰიპერაქტიურობა
- ნეიროგანვითარებითი დარღვევები (მათ შორის გენეტიკური სინდრომები, როგორიცაა დაუნის სინდრომი)
- სმენის ან მხედველობის დარღვევები
- ფიზიკური შეზღუდვები, როგორიცაა ცერებრალური დამბლა
- კომუნიკაციის სირთულეები ან დარღვევები
- განვითარების შეფერხება

ენიშვნა: ეს კურსი არ ამზადებს სტუდენტებს მუსიკათერაპევტებად მუშაობისთვის და მისი დასრულება არ ანიჭებს მუსიკათერაპევტის კვალიფიკაციას. პროგრამის მიზანია პრაქტიკოსებისთვის მუსიკის თერაპიული მიზნით გამოყენების ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მიწოდება.

რას მოიცავს პროგრამა?

პროგრამა მოიცავს სწავლებას შემდეგი მიმართულებებით:

- ბავშვის განვითარება
- ძირითადი თერაპიული თეორიული საფუძვლები, როგორიცაა ადრეული ურთიერთქმედება, მიჯაჭვულობის თეორია და მენტალიზაცია
- ბავშვზე ორიენტირებული მიდგომა თერაპიული მუსიკალური საქმიანობისადმი
- მუსიკისა და ხმის გამოყენება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან
- აქტიური მუსიკის გამოყენება კომუნიკაციისა და ემოციური გამოხატვის გასაადვილებლად
- თერაპიული მიზნების იდენტიფიცირება, მუსიკალური სესიების დაგეგმვა და განხორციელება
- პროგრესის შეფასება
- მუსიკალური რესურსები

როგორ არის აგებული კურსი?

კურსი მოიცავს 96 აკადემიურ საათს, რომლებიც შემდეგნაირად ნაწილდება:

- 40 საათი – ონლაინ სწავლება (ინდივიდუალური სასწავლო მოდულების გავლა)
- 24 საათი – წერილობითი დავალებების მომზადება
- 16 საათი – მასწავლებლების მიერ 2 დღის განმავლობაში ჩატარებული პირისპირ სწავლება
- 16 საათი – პრაქტიკული ნაწილი, რომელიც მოიცავს 3–5 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისგან შემდგარ ჯგუფთან 8 მუსიკალური სესიის ჩატარებას

სექტემბერი – მაისი

1. თეორიული ნაწილი (ონლაინ სასწავლო მოდულები)

კურსის პირველი 8 თვის განმავლობაში მონაწილეები ყოველთვიურად იღებენ ონლაინ სასწავლო მოდულებს, რომლებიც ეხმარება მათ მუსიკის, როგორც თერაპიის შესახებ თეორიული ცოდნის გაღრმავებაში. ყოველთვიურად მონაწილეებს ეთხოვებათ წერითი დავალების შესრულება, რომელიც ეფუძნება შესაბამისი თვის სასწავლო მოდულში წარმოდგენილ მასალასა და მიღებულ ცოდნას.

ოქტომბერი

2. პრაქტიკაში ინტენსიური სასწავლო ტრენინგის

ეს ეტაპი მოიცავს ორდღიან პრაქტიკულ სწავლებას, რომელსაც უძღვებიან მუსიკათერაპევტები. ინტენსიური სასწავლო ტრენინგი მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას, შეხვდნენ ერთმანეთს პირისპირ და პრაქტიკული ვორქშოფების საშუალებით გაიღრმაონ და პრაქტიკაში გამოიყენონ მიღებული თეორიული ცოდნა. ასევე, თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, დაუსვათ თქვენს ტრენერებს ნებისმიერი კითხვა.

მაისი – ივლისი

3. პრაქტიკული ნაწილი (მუსიკის სესიები)

პრაქტიკული დავალება მონაწილეებისგან მოითხოვს, რომ ჩაატარონ 8 მუსიკალური სესია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჯგუფთან, კვალიფიციური მუსიკათერაპევტის ონლაინ სუპერვიზიის (ზედამხედველობის) მხარდაჭერით.

როგორ ფასდება ცოდნა და უნარები?

მონაწილეთა შეფასება ეფუძნება წერილობითი დავალებების შესრულებასა და პრაქტიკულ დავალებაში ჩართულობას, მათ შორის, სუპერვიზიის პროცესში მონაწილეობას.

კურსის ორგანიზატორია საერთაშორისო ორგანიზაცია „Music as Therapy International“.

რა ღირს პროგრამა?

კურსის საფასურის დეტალები იხილეთ ჩვენს ვებგვერდზე.

განმცხადებლებს ვურჩევთ, მიმართონ თავიანთ დამსაქმებლებს და ჰკითხონ, შეუძლიათ თუ არა მათ კურსის საფასურის დაფარვაში დახმარება. თანამშრომლისთვის ახალი ცოდნისა და უნარების შეძენა არა მხოლოდ მის პროფესიულ განვითარებას უწყობს ხელს, არამედ თავად ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობასაც აძლევს შესაძლებლობას, გააძლიერონ გუნდის პროფესიული კვალიფიკაცია და გაუმჯობესონ ბავშვებისთვის შეთავაზებული მხარდაჭერის ხარისხი. შესაბამისად, თანამშრომლის პროფესიულ განვითარებაში ინვესტირება თავად დამსაქმებლის ინტერესშიც არის.

ჩვენ გვსურს, რომ კურსი ყველასთვის ხელმისაწვდომი იყოს. თუ თქვენ ვერ შეძლებთ კურსის სრული საფასურის დაფარვას, მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია ფინანსური მხარდაჭერის მიღება:

- კურსის საფასურის ორ ნაწილად გადახდა.
- იმ თანხის გადახდა, რომლის დაფარვაც თქვენ (ან თქვენს ორგანიზაციას) შეგიძლიათ, ხოლო დარჩენილი ნაწილისთვის სტიპენდიის მოთხოვნა.

თქვენ შეგიძლიათ განაცხადის შევსებისას მიუთითოთ, თუ გაქვთ რაიმე ფინანსური საჭიროება ან გჭირდებათ საფასურის დაფინანსებაში დახმარება.

კურსის საფასურის გადახდა ხდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც კანდიდატს დაუდასტურდება კურსზე მიღება. თუ მონაწილე კურსს ვერ დაიწყებს ან დაწყების შემდეგ ვეღარ შეძლებს დასრულებას, უკვე გადახდილი თანხა არ დაუბრუნდება.

როგორ ჩავირიცხო კურსზე?

განაცხადების მიღება ყოველწლიურად აგვისტოში იწყება, ხოლო განაცხადის წარდგენის სრული დეტალები ხელმისაწვდომია ჩვენს ვებგვერდზე.

თუ გსურთ, რომ შეგატყობინოთ, როდესაც განაცხადების მიღების შემდეგი ეტაპი დაიწყება, გთხოვთ, დარეგისტრირდეთ ჩვენს ვებგვერდზე არსებულ მომლოდინეთა სიაში (Waiting List).

თუ განაცხადის გაკეთებამდე პროგრამასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები გაქვთ, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.